ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 01 ივლისის

სხდომის

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქირექტურის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ

მომხს: აფრასიონ ლურსმანაშვილი

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ

მომხს: ირინე ჩხეიძე

3. .ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ

მომხს: ნანა კიკნაძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 08 სექტემბრის N85 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობების ნებართვების გაცემის უფლებამოსილების მერისათვის გადაცემის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს:აფრასიონ ლურსმანაშვილი

5. ა(ა)იპ-სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსათვის დაბა ხარაგაულში 9 აპრილის ქუჩა N 15-ში მდებარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მესამე სართულზე მარცხენა ფლიგელში მდებარე ორი ოთახის საერთო ფართით 31.7 კვ.მ .(ს/კ 36.01.33.046) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზურფუქტის ფორმით, არსებობის ვადით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს:ჯაბა ბერაძე

6. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 ივლისის #50/43 განკარგეულბაში „საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს:ჯაბა ბერაძე

7.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2017** წლის 3 ივლისის **#50/44** განკარგეულბაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ " ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ჯაბა ბერაძე

8. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო 2014 წლის14 ივლისის N17 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ"ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 01 ივლისის სხდომის

ოქმი N 12

დაბა ხარაგაული

2019 წლის 01 ივლისი

9 აპრილის . #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე,

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები : დავით კიკნაძე, გივი თხელიძე, მალხაზ ფხალაძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ვარლამ ჭიპაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ვეფხვაძე, ეკატერინე შველიძე, რუსუდან გიორგაძე, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, შალვა ლურსმანაშვილი, ირაკლი ფერაძე, ვახტანგ ტალახაძე, ვლადიმერ ტალახაძე, ნიკოლოზ მაღრაძე, გივი თავზარაშვილი, იუზა კელენჯერიძე, გივი ხიჯაკაძე, ბესიკ ტალახაძე, ზურაბ ხაჩიძე, თეიმურაზ ფცქიალაძე, დავით მაღლაფერიძე, აკაკი მაჭავარიანი, თორნიკე ავალიშვილი, მიხეილ ჭიპაშვილი.

სულ საკრებულოს 27 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

აფრასიონ ლურსმანაშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი,

ირინე ჩხეიძე - მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი,

ჯაბა ბერაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი,

კახაბერ გოლუბიანი -მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი,

ნანა კიკნაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი,

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

ნინო თხელიძე -საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

მ.შათირიშვილი -მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი,

თ. მაღრაძე – ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრის“ ჟურნალისტი,

ნ. კაპანაძე - გაზეთ „ ჩემი იმერეთის“ ჟურნალისტი,

ლ.ნიქაბაძე -ოპერატორი

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგი და კენჭის ყრაზე დადგა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე 27

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი მიღებული იქნა (თან ერთვის).

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქირექტურის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ

მომხს: აფრასიონ ლურსმანაშვილი

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ **გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ**

მომხს: ირინე ჩხეიძე

3. .ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ

მომხს: ნანა კიკნაძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 08 სექტემბრის N85 განკარგულებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობების ნებართვების გაცემის უფლებამოსილების მერისათვის გადაცემის შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს:აფრასიონ ლურსმანაშვილი

5. **ა(ა)იპ-სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსათვის დაბა ხარაგაულში 9 აპრილის ქუჩა N 15-ში მდებარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მესამე სართულზე მარცხენა ფლიგელში მდებარე ორი ოთახის საერთო ფართით 31.7 კვ.მ .(ს/კ 36.01.33.046) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზურფუქტის ფორმით, არსებობის ვადით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ**

მომხს:ჯაბა ბერაძე

6. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2017** წლის 3 ივლისის **#50/43** განკარგეულებაში „საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს:ჯაბა ბერაძე

7.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2017** წლის 3 ივლისის **#50/44** განკარგეულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ " ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ჯაბა ბერაძე

8. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო 2014 წლის14 ივლისის N17 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ"ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის ა. ლურსმანაშვილის ანგარიში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

მ. ფხალაძემ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კომისიის სხდომაზე განიხილა აღნიშნული საკითხი და ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ ანგარიში არის მშრალი, სამსახურის დებულებით 32 მუხლშია გაწერილი თქვენი უფლებამოსილება და ანგარიშში საერთოდ არ არის მოხსენიებული ამ კუთხით სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ, სამსახური ყურადღებას არ აქცევს დამთავრებული თუ დაუმთავრებელი მშენებლობების კონტროლს (კომისიის სხდომაზე საკითხის განხილვის ოქმი თან ერთვის).

ლ. ტალახაძემ დასვა შეკითხვა მომხსენებლის მიმართ თუ ვინ გასცემდა ლიცენზიას ქვა - ღორღის მოპოვებაზე

ა. ლურსმანაშვილმა მომხსენებელმა უპასუხა, რომ ჩვენ მხოლოდ ვეთანხმებით გარემოს დაცვის სამინისტროს.

საკრებულოს წევრებმა მომხსენებლის მიმართ დასვეს შეკითხვები ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული უსახური შენობებისა და ქვა - ღორღის მოპოვების საკითხებთან დაკავშირებით კერძოდ:

ნ. ზურაბიანმა აღნიშნა, სოფელ ხიდარში არსებული ფერმისა და სოფლის ცენტრში მაღაზიის თაობაზე

ა. ლურსმანაშვილმა განმარტა, რომ ფერმებთან დაკავშირებით დაინტერესდება, რაც შეეხება მაღაზიას ეს ობიექტი ეკუთვნის სახელმწიფოს და ამჟამად მიმდინარეობს სასამართლო დავა.

ა. მაჭავარიანმა აღნიშნა, რომ ავტოსადგურზე არის უსახური შენობები და დაინტერესდით.

ა. ლურსმანაშვილმა განმარტა, რომ ეს ტერიტორია არის კერძო ობიექტის მფლობელობაში და თქვენი ნებაა ააღებინეთ თუ დატოვებთ, როგორ მოგეხმაროთ გვითხარით და მზად ვართ თანამშრომლობისთვის.

გ. ტალახაძემ აღნიშნა, რომ სოფელ ფონაში ლიცენზიის გაცემაზე გვითხრეს უარი.

ა. ლურსმანაშვილმა აღნიშნა, რომ ჩვენ თქვენთან ერთად დავათვალიერეთ ეს ტერიტორია, ვინაიდან იქ არის მდინარე შესაძლებელი იყო მისი სათავის დაბინძურება ამიტომ მერიამ თქვა უარი.

თ. ფცქიალაძემ მიმართა მომხსენებელს, რომ თუ არსებობს დაბაში სამშენებლო ნარჩენების განთავსების ადგილი ან თუ შეიძლება, რომ სასაფლაოსთან არსებული ფართი გამოვიყენოთ.

ა. ლურსმანაშვილმა უპასუხა, რომ დაბის ტერიტორიაზე ასეთი ადგილი არ არის.

ე. შველიძემ განაცხადა, რომ დაბაში თაბუკაშვილის ქუჩაზე ძველად იყო გზა, იქ არის ქვა - ღორღი წყალდიდობის დროს შეიძლება მოსახლეობას საფრთხე შეუქმნას იქედან ჩამოტანილმა ღორღმა. ამას უნდა მიეხედოს.

მ. ბარბაქაძემ რეპლიკის სახით დააფიქსირა, რომ სოფელ უბისაში გელა სახვაძეზე გაცემული გაქვთ მშენებლობის ნებართვა, ინტერნეტ სივრცეში ამტყდარია ნეგატიური განწყობა და კითხულობენ ვისი სახელობის ტაძარი შენდება და კიდევ ბორითში ფეხბურთის სტადიონის გვერდით გაცემული გაქვთ ლიცენზია ქვიშა - ღორღის მოპოვებაზე, რომელიც საფრთხეს უქმნის მოსახლეობას და სტადიონს, რომელიც ფეხბურთის ფედერაციამ გააკეთა . ამ საკითხებთან დაკავშირებით რა პასუხი გაქვთ მოსახლეობისათვის?

ი. კელენჯერიძემ კითხვა დაუსვა ა. ლურსმანაშვილს ადმინისტრაციული შენობის წინ მშენებარე სკვერის მშენებლობასთან დაკავშირებით კერძოდ თუ ჰქონდა სურვილი აღნიშნული მშენებლობა გამხდარიყო სჯარო და მეორე თქვენ მიეცით თუ არა ნებართვა „ბლექსი ჯგუფს“ სიღრმისეული წყლის მიმდებარედ ამოეღოთ ინერტული მასალა.

ა. ლურსმანაშვილმა აღნიშნა, რომ გარემოს დაცვის სამინისტრომ მოგვმართა თანხმობისათვის „ბლექსი ჯგუფს „ მოეპოვებია ინერტული მასალა, საკითხი შესწავლილი იყო გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ, ჩვენ დავეთანხმეთ, რადგან იქ რაიმე საშიშროება სიღრმისეულ წყალს არ ემუქრებოდა, მას შემდეგ რაც თქვენს მიერ დაისვა შეკითხვა ლიცენზიათან დაკავშირებით ჩვენ მივმართეთ გარემოს დაცვის სამინისტროს და ველოდებით დასკვნას.

მ. ჭიპაშვილი სამსახურთან ურთიერთობის პრობლემა არ მაქვს, მშენებლობების ამსახველი ბანერები, რომ არ არის და უსაფრთხოების ზომები მიღებული ეს პრობლემაა ინფრასტრუქტურის სამსახურმა და ზედამხედველობის სამსახურმა ერთად უნდა იმუშაოს ვფიქრობ ეს სამსახურები უნდა შეერთდეს. მე მაინტერესებს დაბის იერსახე, რომ მოწესრიგდეს ამისთვის რა თანხაა საჭირო ამაზე თუ გიფიქრიათ, სამშენებლო მასალების ნარჩენებისათვის, რომ გამოგვიყოთ ტერიტორია ამაზე თუ მუშაობთ. რაც შეეხება შეფასებას ახალგაზრდა კაცია მივცეთ შანსი გააუმჯობესოს საქმიანობა, ყველაფერს სამსახურს ვერ დავაბრალებთ, მე ვაფასებ დადებითად.

თ. ფცქიალაძემ აღნიშნა, რომ სამსახურის საქმიანობას აფასებს დადებითად

ა. ლურსმანაშვილმა აღნიშნა, რომ სამსახურების შეერთება ჩემი უფლებამოსილება არ არის, თუ მშენებელი ნარჩენებს არ გაიტანს თანხას ვერ მიიღებენ ჩემი სამსახური მუშაობს კონკრეტულ სიტუაციაზე და ვიღებთ შესაბამის გადაწყვეტილებას.

ვ. ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ სამსახურის მიერ არ არის გამოყენებული საჯარიმო სანქციები, წერილი არის გაგზავნილი, მაგრამ ამის შემდეგ აღარ ხდება შედეგის მისაღწევად რეაგირება, რატომ გაეცით ლიცენზიები და ვინ იყო ჩართული ამ ლიცენზიის გაცემაში, თქვენი სამსახურის 2-3 ფუნქციაა შესრულებული კარგად მუშაობთ? არ გაქვთ მთელი რიგი გეგმები შედეგებზე რომ გავიდეთ, ნარჩენებზე, რომ ვსაუბრობთ ბაზალეთში ჩინელებმა დიდი გორა მოაწყვეს, გზა რომ დაზიანდა რა გაკეთდა პასუხის შემდეგ, მე- 3 სკოლის ტერიტორიაზე ნარჩენები თვეები ეყარა,მაჩვენეთ ერთი დოკუმენტი, სადაც გამოავლინეთ ხარვეზი და მიწერეთ მეწარმეს, საამშენებლო ნორმების დაცვის კონტროლი არ ხდება.

ა. ლურსმანაშვილმა გაიხსენეთ ბაზალეთში როდის დაიწყო ნარჩენების დაყრა, გზა, რომ დაზიანდა შენთან ერთად მეც დავდიოდი და ჩემი მანქანით გადაუკეტე გზა, რეაგირებაც მოხდა, ტყუილის ნუ იტყვი, თითქოს არაფერი არ გამიკეთებია, შენთან ერთად მეც იქ ვიყავი ვატარებდი ღონისძიებებს, რაც ჩემს კომპეტენციას შეესაბამებოდა ტყუილს არ გათქმევინებთ .

საკრებულოს წევრებმა ა. ლურსმანაშვილმა ზ. ხაჩიძემ ფრაქციის სახელით სამსახურის საქმიანობა შეაფასეს უარყოფითად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს წევრთა მიერ დასმული წინადადება მუნიციპალიტეტის მერიის **ზედამხედველობისა და არქირექტურის** სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე 4

წინააღმდეგი 19

თავი შეიკავა 4

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს წევრთა მიერ დასმული წინადადება მუნიციპალიტეტის მერიის **ზედამხედველობისა და არქირექტურის** სამსახურის საქმიანობის უარყოფითად შეფასების თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე 19

წინააღმდეგი 4

თავი შეიკავა 4

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის ირინე ჩხეიძის ანგარიში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

დ. კიკნაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა განათლების, სულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომაზე და კომისიის მიერ საქმიანობა შეფასდა დადებითად.

შ. ლურსმანაშვილმა ასევე სამსახურის საქმიანობა შეაფასა დადებითად.

მ. ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ რა თქმა უნდა სამსხურის საქმიანობას ვაფასებ დადებითად მაგრამ მინდა, რომ ბიუჯეტიდან გამოყოფილი 11000 ლარი დაიხარჯოს კერძო ინიციატივებზე , მცირერიცხოვან სოფლებშიც შევიდეთ და ვაჩვენოთ თქვენი შენოქმედება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს წევრთა მიერ დასმული წინადადება მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე 27

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის ნ. კიკნაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

თ. ფცქიალაძემ აღნიშნა, რომ მიესალმება აღნიშნული დადგენილების მიღებას, კარგია ,რომ სამსახური და მერია ამ საკითხს არ უდგება ცუდად ბევრ კარგ საქმეს აკეთებენ.

ლ. აბაშიძემ მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა თუ არის განსაზღვრული თანხა თავშესაფრით უზრუნველყოფის შემთხვევაში

ნ. კიკნაძემ უპასუხა, რომ ამ შემთხვევაში წესში საუბარია ბინის ქირით უზრუნველყოფაზე და არა შეძენაზე.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტის და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე 27

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის ა. ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 08 სექტემბრის N85 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 მშენებლობების ნებართვების გაცემის უფლებამოსილების მერისათვის გადაცემის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე 27

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯ. ბერაძის ინფორმაცია საკითხზე - **ა(ა)იპ-სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსათვის დაბა ხარაგაულში 9 აპრილის ქუჩა N 15-ში მდებარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მესამე სართულზე მარცხენა ფლიგელში მდებარე ორი ოთახის საერთო ფართით 31.7 კვ.მ .(ს/კ 36.01.33.046) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზურფუქტის ფორმით, არსებობის ვადით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ**

აზრი გამოთქვეს:

მ. ფხალაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საკრებულო განიცდის სამუშაო ფართის ნაკლებობას, ამის შესახებ არაერთხელ მივმართეთ მერიას მაგრამ დღემდე პრობლემა გადაუჭრელი რჩება, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის სხდომაზე საკითხი განვიხილეთ, მომხსენებლის მიმართ დავსვით წინადადება ალტერნატიული ფართის გამონახვის თაობაზე ვფიქრობ, რომ საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას და შემოვდივართ წინადადებით დროებით გადაიდოს ფართის გამოყოფის საკითხის განხილვა (კომისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაცია თან ერთვის).

მ. ფხალაძის წინადადებას მხარი დაუჭირეს საკრებულოს წევრთა უმრავლესობამ

საკრებულომ გადაწყვიტა: საკითხი გადაიდოს უახლოესი სხდომისათვის და ამის შესახებ ეცნობოს მუნიციპალიტეტის მერიას.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯ. ბერაძის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 ივლისის #50/43 განკარგეულბაში „საპრივატიზაციო ობიექტების წუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის)**

აზრი გამოთქვეს:

სხდომის თავმჯდომარის დავალებით საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ მ. ფხალაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის სხდომაზე საკითხის განხილვის შედეგად მიღებული დასკვნა (თან ერთვის), კერძოდ მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში არ ყოფილიყო შეტანილი სოფელ თეთრაწყაროში მდებარე 2830 კვ.მ არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 36.10.38.004) (დასკვნა თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე 27

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯ. ბერაძის ინფორმაცია საკითხზე -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2017** წლის **3** ივლისის **#50/44** განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ " ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

სხდომის თავმჯდომარის დავალებით საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ მ. ფხალაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის სხდომაზე საკითხის განხილვის შედეგად მიღებული დასკვნა (თან ერთვის), კერძოდ მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით საპრივატიზებო ობიექტთა გეგმაში არ ყოფილიყო შეტანილი სოფელ თეთრაწყაროში მდებარე 2830 კვ.მ არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 36.10.38.004) (დასკვნა თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე 27

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის კ. გოლუბიანის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო 2014 წლის14 ივლისის N17 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ"ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოქმულა

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტის და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე 27

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

ამით საკრებულოს დღის წესრიგით გათვალისწინებული განსახილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე